ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ.

№ 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 20 1899 Წ. № 25

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: რომანტიზმი ნ. ᲧᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡᲘ.—ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.—„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.—ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ.—ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ.—ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒ. ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ Კ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲘᲡᲐ.—„ᲝᲚᲝᲜᲓᲐᲪ“ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ (ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ) —ᲡᲝᲤ ᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲗ-ᲡᲐᲪᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ Ა. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲐᲡᲘ —ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.—ᲙᲕᲐᲚᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 5, ᲘᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ.

რომანტიზმი.

საქართველოს მომავალი ისტორიკოსი, უეჭველია, მთელ ჩვენ დღევანდელ საზოგადო აზროვნებას ერთათ ერთი სიტყვით დაახასიათებს—რომანტიული ე. ი. ისეთი, რომელიც ერთიანათ გრძნობაზე, სიმპატია-ანტიპატიაზე არის აგებული და არა საქმის ცოდნაზე და კრიტიკულ აწონ-დაწონაზე. და მართლაც, ჩვენ ახალ ცხოვრებაში (მე-60 წლების მერე) კრიტიკა არასოდეს არ ყოფილა ისე ყბადაღებული და ფეხ-ქვეშ გათელილი, როგორათაც დღეს არის. მიუდგომელი მსჯელობა, პირდაპირი მოსაზრება, გულ-წრფელი მოქმედება მეტი ბარგი შეიქმნა. საზოგადოებამ შეიმუშავა ფიქრის ერთნაირი წესი, აზროვნების ერთნაირი საზომი და ამას არავითარ შემთხვევაში არ ცილდება. ეს მან ჩვეულებათ გადააქცია, ხელშეუხებელ წმიდათა-წმიდათ დაისახა და ასე გამეფდა ერთგვარი, ერთფერი და უსიცოცხლო გონებრივი აღებ-მიცემობა. ახალგაზდა ფიქრობს ისე როგორც მოხუცი; ერთი ფიქრობს ისე როგორც ასი და ათასი. გონება ჩაისვა მტკიცეთ განსაზღვრულ ჩარჩოში, ადამიანის სული მოიმწყვდა ოთხივე მხრით აღმართულ ზღუდეებში და აქეთ-იქით გადაქან-გადმოქანება, თავისუფლათ შეთამაშ-შამოთამაშება მომაკვდინებელ ცოდვათ გამოცხადდა. რაც უფრო ნაკლებ იქონიებ თავის აზრს და სხვის უაზრობას შეითვისებს, რაც ნაკლებ ილაპარაკებ და სხვის ფეხის ხმას აყვები, მით უფრო სახელოვანი და სანატრელი „მოღვაწე“ ხდები. შენთვის ღიაა ყველას კარები, შენზე ლაპარაკობენ მოწიწებით, შენ გათვრებენ ხვეწნა-ვედრებით. და ეს ასეც უნდა იყოს. შენ ხარ მხოლოთ ერთი წევრი იმ ერთფეროვანი ხალხის, რომელიც ყოველივე ახალს, სხვადასხვაობას და შეჯახ-შემოჯახებას უფრთხის და ერიდება. ის მისდევს მხოლოთ ჩვეულებას, რუტინას და ის, ვინც დადის ისე, როგორც ყველა, ამბობს და საქმობს ისე როგორც ყველა, რასაკვირველია, ნამდვილი ბუნებრივი მატარებელია ამ ძვირფასი სამკაულის. და ეს არც საძნელო ხელობაა. ამას არც დიდი შრომა უნდა და არც განსაკუთრებული ნიჭი და გამჭრიახობა. „ბალიაღობა“, „კი ბატონობა“ და თავის ქნევა—

განა ამისათვის საჭიროა თავის შეწუხება, რაიმე ბრძოლა, რაიმე გონებრივი და ან ზნეობრივი განვითარება? სრულიადაც არა და სწორეთ ამიტომ არის, რომ მას ასე ვებლაუჭებით და ეს ბატონ-ყმური თვისებები საამოროვ თვისებებათ გამოგვაქვს. ბატონ-ყმობა მართალია, კაი ხანია მოისპო, მარა მოისპო ის გარეგნობით, ხოლო ჩვენი შინაგანი სულიერი წყობილება დღესაც ბატონ-ყმური გრძნობებით არის გაჟღენთილი, მხოლოთ სხვა სახით კი. დღეს ჩვენ გონებას, ჩვენ გრძნობას, და ზნეობას ჩვენვე ეუყენებთ უფროსს, მბრძანებელს, ბატონს და ჩვენივე ნებით მის ყურ მოჭრილ მონათ ვხდებით. ამ გონებრივ დავარდნას, ამ ზნეობრივ გათახსირებას ერთხელ კიდეეაც ეჩიოდით, მასზე ედრტვინავდით, ნაკლულევანებათ აღვიარებდით, მარა ახლა კი ყველა ამას შეეწყვეთ, შეეითვისეთ და ბოლოს მის დაცვასაც შეეუდექით. დავამაგროთ ის, რაც გვაქვს, რათ გვინდა ახალი—აი, რა გაისმის აქა იქ. და მერე რა გვაქვს? რა და არარაობა—მაშ დავიცვათ იგი! რა უნდა მოგვცეს ახალმა? რა და ყველაფერი—მაშ უარეყოთ იგი! აი რას, ქადაგებენ ჩვენი მესვეურნი და ამასვე იმეორებენ მათი ამყოლნი. ამათთვის ეს არის ხელ-საყრელი და კიდეეაც იცავენ. ხელ-საყრელია იმიტომ, რომ ამ საერთო არარაობაში მხოლოთ ესენი მოჩანან დეე-გმირებათ, მხოლოთ ამათ ხედვენ დაჩოქილნი და მოკრძალებით თაყვანსა სცემენ. ბოლოს ამათაც დაიჯერეს, უთუოთ ჩვენ უნდა ვიყოთ ბურჯნი ამა ქვეყნისა, და კმაყოფილებით აღსავსე ყოველივე ცვლილებას წინ ეღობებიან. ცვლილება—ეს მომავალია, მომავალში ვინ სად მოექცევა—ეს ღმერთმა უწყის და ამიტომაც კმაყოფილთ თავის საქმე სახათაბალოთ არ უნდა გაიხადონ და ისევ საზოგადო არარაობის მებაირაღტრეთ რჩებიან.

ამის ერთი საუკეთესო ნიმუში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა. ვინც მის უკანასკნელ კრებას დაესწრო, მისთვის ცხადია, თუ ვინ არიან ეს კმაყოფილნი და მათი ამყოლ-დამყოლნი. გამგეობა, საქმის საკეთებლათ არჩეული, ამტკიცებს, რომ საქმის კეთება არ შეიძლება და ჩვენ ისე გულ-ხელ დაკრეფილი უნდა ვისხდეთო; ხოლო თუ კრიტიკულათ მოგვეპყარით საქმეს მთლათ დაეანებებთ თავს და ჩვენ-ჩვენდა წავალთო! საქმიანობის და კრიტიკის უარისყოფა—აი, რის მოციქულათ გამოვიდა გამგეობა და კრებაც ყურ-მოჭრილათ მას დაეთანხმა. და ეს მისი „ბალიაღობა“ განა საქმის ცოდნისაგან მომდინარეობს? რასაკვირველია, არა, წერა-კითხვის გავრცელება რომ უსკოლოთ და უბიბლიოთეკოთ არ შეიძლება—ეს ყველამ იცის მის-მისდა, ცალ-ცალკე, მარა როგორც კი ერთათ თავს მოიყრიან და გამგეობას დაუპირდაპირდებიან—ეს ცოდნაც სადღაცა ქრება და მის ალაგას ერთხელ აჩემებულ პირთა ყმობა და თაყვანისცემა დგება. ის იმას კი არ უყურებს, საქმეს რა აენებს და რა არა, იმის საზრუნავია მხოლოთ ის, თუ რით ასიამოვნოს, რით თანაუგრძნოს მის საყვარელ პირს და თუნდაც ამან მთელი საქმე უკულმა ატრიალოს, ოდნავათაც ეს არ ეტოშება და კითხვითი ნიშანი არ წამოცდება. და ასე საქმის ბედილბლის გადამწყვეტი ხდება არა სიყვარული საქმისადმი, არამედ სიყვარული ამოჩემებული პირისადმი. აქ კრიტიკა, მსჯელობა არ არსებობს, აქ არის ერთათ ერთი სიმპატია-ანტიპატია და საზოგადო მოღვაწეობაც ამ საზომით იზომება. მოწონს პეტრე ან ივანე—მაშასადამე მათი წასული და მომავალი მოქმედებაც მოსაწონია. და რა საბუთიც უნდა წამოუყენო, რა თვალ-საჩინოთაც უნდა დაუმტკიცო ამ მოქმედების მავნებლობა—იმას მაინც არაფერი ესმის, ის ვერას ხედავს, ის გაიძახის მხოლოთ იმას, რა აზრიც ერთხელ შეუდგენია. ეს ერთ ნაირათ ცრუ მორწმუნეობაა და მისი ადამიანისაგან ამოგლეჯა დიდათ საძნელოა, რაც უნდა უქადაგოთ სოფლის დედა-ბერს, დედა-მიწა ცის სიერცეშია და მზის გარეშემოტრიალებსო, ის მაინც არ დაიჯერებს, ის ყოველთვის თავისას გაიმეორებს: დედამიწა გველეშაპზეა დაყრდნობილი და მაშინ შეინძრევა, როცა ეს ცხოველი კუდს გააქანებსო. და თუ მაინც არ მოეშვი, მთელ იმ კუთხეში ურწმუნოს სახელი დაგივარდება. ასეთია ჩვენი ქალაქის „მოღვაწენიც“. მართალია იმათ აღარ ჯერათ, დედამიწა გველეშაპზე დგასო, ეს ერთობ ძალიან დაძველდა, სამაგიეროთ მათ კიდევ სჯერათ, რომ ეს ჩვენი საქართველო ერთიორი კაცის ბეჭებზეა დაყრდნობილიო. ვინც ამაში ეჭვს შეიტანს და კრიტიკულათ შეხედავს, სოფლის დედაბერივით ერთ ალიაქოთს ასტეხს: შეხედეთ, აი, რა ურწმუნო და მოღალატე ყოფილაო! ახლა ერთი მითხარით, არის რამე განსხვავება ამ ორ ცრუ მორწმუნეთა შორის? თუ არის—ეს ისევ ის, რომ პირველის ცრუმორწმუნოება გაცილებით უფრო მავნე და საზოგადოების გამათახსირებელია, ვინემ მეორის. ეს უკანასკნელი ცხოვრებს თავისთვის, არც ვინმეს აწუხებს და არც მოღვაწეობას ეპოტინება. ხოლო პირველი კი თავის თავით არ კმაყოფილდება, ის მოღვაწეობს... თავის მცნებას გულმოდგინეთ ავრცელებს, შეაქვს იქ, სადაც ჯერ არ არის და მით საერთო-მოძრაობას აფერხებს. აი, ასეთი ცრუმორწმუნე ხალხით არის სავსე ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულება და ამიტომაც არის, რომ ყველა ეს სულს ლაფავს.

და რაღა მარტო დაწესებულება. მთელი ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება და აზროვნება ამ საძირკველზეა აგებული. მაგ. ჩვენებური მამულიშვილობა მხოლოთ ერთი რომანტიული მამულიშვილობაა და არავითარი კავშირი არ აქვს თანამედროვე რეალურ მამულიშვილობასთან. ის მომდინარეობს მხოლოთ გრძნობებისაგან და არა სამშობლოს ყოველმხრივი შესწავლის, მისი საჭიროების გამორკვევის და გაგებისაგან. სამშობლოს ერთი კუთხე თუ გინდა მთლათ დაანგრიე, ოღონდ თან კი დაატანე სამშობლო მიყვარსო და თქვენც ყოველივე გეპატიებათ. განა ეს არ არის ცრუმორწმუნეობა—ცრუმორწმუნეობა საქმის შეუგნებლობისაგან წარმომდგარი? პატრიოტის სახელი დღეს სწორეთ იმას უფრო აქვს, ვინც თავის და სხვის ქონებას მიანგრ-მოანგრევს, ას და ორას მიარბევ-მოარბევს და ბოლოს არხეინათ საიქიოსკენ გაემგზავრება. და ეს მერე რატომ? იმიტომ რომ ჩვენში სიტყვას მეტი გასავალი აქვს, ვინემ საქმეს. ილაპარაკეთ საქმეზე, ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამზე, მოინდომეთ ახალი ცხოვრების დამყარება, ერის წელში გამაგრება, უვარგის ურთიერთობის უარსყოფა, უმრავლესობის ინტერესებისთვის ბრძოლა და სხ. და თქვენ მამულის შვილობას საეჭვოთ გამოაცხადებენ. რატომ? იმიტომ რომ თქვენ საქმეს სიტყვაზე წინ აყენებთ, მამულის განახლებას თქვენ საქმით ცდილობთ და არა სიტყვით, მამულის სიყვარული თქვენ რეალურ პირობაზე გსურთ ააგოთ და არა მარტო გრძნობებზე... დიახ, ჩვენებური პატრიოტობა არის პატრიოტობა რომანტიული; მხოლოთ მაშინ, როცა ის ჩვენი ქვეყნის აწინდელ მდგომარეობის შესწავლაზე, მისი გზა-კვალის გათვალისწინებაზე და მომავლისთვის ბრძოლაზე იქნება დაყრდნობილი, აი, მაშინ ის შეიქმნება რეალური. მაშინ წინ წამოდგება ცოდნა, შეგნება, თვით-ცნობიერება, მუშაობა და უშინაარსო სიმპატია-ანტიპატია, ცარიელი გრძნობიერობა უკან დადგება...

იმავე მოვლენას ეხედავთ მწერლობაშიაც. აქაც ჯერ-ჯერობით უბრალო სურვილები და ნატვრაა გაბატონებული. კარგი მწერალი ის არის, ვინც იმდენს მოახერხებს, რომ ბევრი ილაპარაკოს და არაფერი თქვას. საქმის ძირიანათ გაშინჯვა, კითხვის გამორკვევა, მიუდგომელი მსჯავრის დადება —ამას არც მკითხველი ითხოვს და არც მწერალი მისდევს. ლიტერატურის უშინაარსობამ და ფრაზებმა მკითხველში აღზარდა შესაფერი გემოვნება, გამოიწვია შესაფერი მოთხოვნილება და ამის ხელმეორეთ გარდაქმნას გძელი დრო უნდა. მწერლობამ მას მიაწოდა ორი საგანი: ან ვინმეს უზომო ქება დიდება და ან უზომო ლანძღვა-გინება. არც ერთი ეს, რასაკვირველია, საგნის ცოდნაზე არ არის აშენებული. აქ უბრალო მოწონება-დაწუნება წყვეტს ნაწარმოების „მიმართულებას". ვისაც, რადაც მიზეზის გამო, კეთილის თვალით უცქერი—იმან რამდენი სისულელეც უნდა წამოროშოს, მაინც დიდი ფილოსოფოსი ჰგონიათ; და თუ ვინმე აითვალწუნეთ—იმას აღარ დაედგომება თქვენ სიახლოვეს, იმის ოქროც სპილენძათ გეჩვენებათ და სათნოება ბოროტებათ. ამ ჯურის, უკაცრავათ პასუხია, პუბლიცისტები თან და თან მრავლდებიან და ლამის არის გადააყრუონ მთელი საქართველო. ამათ რომ ჰკითხოთ, რა განძრევთ, რამ აგიტაცათ, რა საბუთი გაქვთ ან ქების და ან ძაგების—პასუხს ვერ მიიღებთ და თუ მიიღებთ უთუოთ აბნეულს, დაულაგებელს, რადგანაც თვითონაც არ იციან რას შერებიან და ან რა უნდა ქმნან. მაგალითი შორს არ არის. აგერ ერთი წელია „ივერიის" ფურცლებზე ერთი ლანძღვის კორიანტელია აყენებული თქვენი უმორჩილესი მონის წინააღმდეგ, მარა არსად არც ერთი საბუთი, არც ერთი წერილის გარჩევა და სერიოზული აწონ-დაწონა. ცხადია, გაზეთს არ მოსწონს ის, რასაც ჩვენ ვადგიეართ, ხოლო რატომ არ მოწონს, რას შეიცავს დასაწუნს—ეს მან არ იცის, ამის ანგარიში თავისთვის არ მიუცია, ეს ვერ შეუგნია და ამიტომ თავის უკმაყოფილებას გინებით ხატავს. 1) სწორეთ ასე ჩადის სოფლის დედა-ბერი, რომელმაც სადღაც გაიგონა, დედა-მიწა მოძრაობსო, ამას ვერას გზით ვერ ურიგდება და იწყველება, დამიდგეს ყური, რა საშინელება მოიგონა იმ სინსილა გასაწყვეტმაო. ერთი სიტყვით, პუბლიცისტიკა დამყარებულია პირად გრძნობაზე, სიმპატია-ანტიპატიაზე. აქ ან უბრალო სურვილებია გამოფენილი, ან და ერთის ქება და მეორის გინება. სალაპარაკო საგნის შესწავლა და მსჯელობის ცოდნაზე აგება უარყოფილია.

ეგვეე მეორდება მწერლობის სხვა დარგშიაც,

---

1) „ვარს" და „იმედ-გატრუებულს" შემდეგ დიდი სნის ქადაგებისა მოუმოვებია ერთათ ერთი მიმდევარი; ეს არის „მოსკოველი ვაჭარი", ვიდაც კვალიაშვილი. მოსკოველი ვაჭრების თვისება კი სანია გაგვამცნო ოსტროვსკიმ. ისინი, როგორც მოგესსენებათ, ერთთავათ იღანძღებიან, იბღვირებიან, ოჯახში ნატარ-ტუტას აყენებენ და ვინც უველაზე უფრო გამოიღანძღება (სიტყვას ხოშ არავინ უბრუნებს) ბურთი და მოედანიც მას რჩება. „ივერიის" „მოსკოველ ვაჭარსაც" უფიქრია, სწორეთ ის არის უდიდესი მწერალი, ვინც უდიდესათ გამოიღანძღება და ეს უპასუხოთაც დარჩებაო. და კიდევაც სავარეთ გამოუცხადებია ეს ოსტროვსკის „ეგუშტესის" კრიტიკული ავდა-დიდება. დიახ, ამ უკვდავ მწერალს 1899 წლის „მოსკოველი ვაჭარიც" სახეში ოლია, როცა მიესვა წერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ. ისტორიულ ნაწარმოებში. თქვენ მოგწონთ წარსული ან მთლათ ერთიანათ და ან განსაკუთრებით მისი ერთი ეპოქა. ადგებით და წერთ „ისტორიას“. და ეს მხოლოთ ერთი პანეგირიკაა, ერთი გაუთავებელი ქებათა-ქებაა ყოველისავე თავისის და ლაფში ამოსვრა ყოველისავე სხვისი. ან და შეიძლება წარსული ან მისი ერთი ხანა არ მოგწონთ, რაღაც მიზეზის გამო საკუთარი ისტორია შეიძულეთ. და, აი, ამ თქვენი გრძნობის გამოსაცხადებლათ წერთ „ისტორიას“, ფეხ-ქვეშ იგდებთ ყოველსავე თავისას და ცამდის აგყავთ ყოველივე სხვისი, ამცირებთ ერთს, ამაღლებთ მეორეს... აქაც იგივე დაბრმავება, თავის ვნებების აყოლაა, როგორც პირველ შემთხვევაში. სამაგიეროთ, ისტორიის ცოდნა, მიუდგომელი სჯა-ბაასი, უტყუარი შეხედულობა ორივესგან აბუჩათ აღებულია. ისტორიას იქით აბრუნებენ, საითკენაც მათი გრძნობა უბრძანებს, ფაქტებს ისეთს გამოაჩენენ, რომელნიც მათ წინათ განძრახულებას ამართლებს. აი, ისტორია!

ამ გვარათ, რა მხრითაც უნდა მიმოვიხედოთ, რა საგანიც უნდა განვიხილოთ, ყოველგან და ყოველთვის ვხედავთ ერთ და იმავეს: საზოგადო აზროვნება და საქმიანობა აშენებულია გრძნობაზე და არა ცოდნაზე, გაბატონებულია რომანტიზმი და განდევნილია რეალიზმი. საზოგადო დაწესებულება, პატრიოტობა, მწერლობა — ყველაფერი რომანტიზმით არის გაჟღენთილი, ყველაფერი ამით ხელმძღვანელობს და სულდგმულობს. ცოდნა და საქმე უარჰყოფილია და მათ მაგიერ გრძნობა და სიტყვა გამეფებულია. ეს ბადებს საერთო უსაქმობას, უშინაარსობას და უვიცობას. და ეს გაგრძელდება მანამდის, სანამდის მიუფერებელი მხილება, პირდაპირი მსჯელობა, ნამდვილი ცოდნა და მუყაითობა არ აღორძინდება და გამძლავრდება. ერთი სიტყვით, ძველი ქვეყნის კრიტიკით ნახულ უნდა იქმნას ახალი ქვეყანა, პარტრიარქალური-რომანტიული ურთიერთობის დარღვევით დამყარებულ უნდა იქმნას მოქალაქობრივ-რეალური ურთიერთობა. და ვინც ამას ემსახურება, ამას მისდევს და ეთაყვანება — ის ემსახურება ჩვენი ერის განვითარებას, ჩვენი სამშობლოის გაღონიერებას და აყვავებას...

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ამ თვის 18 წერა-კითხვის საზოგ. გამგეობამ თავის სხდომაზე დაადგინა. სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი გადაყვანილ იქმნას ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მასწავლებლათ: ხოლო მასწავლებლები: მ. შარაძე, გ. წულუკიძე, გომელაური, პლ. წულუკიძე და აღმზრდელი გ. ბოკერია დათხოვნილ იქმნან სრულიად უადგილოთ.

ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორმა რობიმ, 14 ივნისს, პირადათ თხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მომეცით ავიყვანო რკინის გზა მთაწმინდის სერზედაო. გზაზე ივლის 2 ან 4 ვაგონი. გზის წარმოება უნდა დარჩეს რობის ხელში 45 წლის ვადით, რის შემდეგ გადავა ქალაქის საკუთრებათ. გზა დაიწყება ქალაქის წყლის მილების აუზიდან. მთაწმინდის სერის შუაზე გაიმართება სადგური ვაგონების შესახვედრათ, ხოლო უკანასკნელი სადგური იქნება წვერზე, „განდეგილთან“. გადასახადი შუა სადგურიდგან ასასვლელ-ჩამოსასვლელათ იქნება 10 კაპ. კაცზე, ქვედა სადგურიდან ზედამდე 20 კაპ., იქიდან 15 კ., ხოლო აქედან და იქიდან 30 კ. ერთი ფუთი ბარგის წაღება ეღირება 5 კაპ., ვაგონები ივლიან 15 მარტიდან 15 ნოემბრამდე. კონცესიის ვადის გასვლამდე რობი ჰპირდება ქალაქს 1 პროცენტს მთელ შემოსავლიდან. მას სათანადო მთავრობის წინაშე უკვე შუამდგომლობა აღუძრავს ამ საგნისა და კიდევ იმის შესახებ, რომ ეს გზა გაიყვანოს კოჯრამდე. რობის განზრახვა აქვს, აგრეთვე აიყვანოს მთაწმინდის წვერზე წყალი, გამართოს იქ ბაღი, სასაფხულო თეატრი, როტონდა და სხ.

—

აგრონომმა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა, მოახსენა მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულს, რომ კახეთის მევენახეთა კერძო კრებაზე (მაისის დამლევს) გამოირკვა: 1) რომ კახეთის მევენახეთა კრება დღეს დიდათ საჭიროა, როგორც იმ შევიწროებულ მდგომარეობისათვის, რომელშიაც ეს სამეურნეო დარგი იმყოფება, ისე ამ დარგის ნაწარმოებთა მოყვანისა და გასაღების პირობების შეცვლისათვის, და 2) რომ კახეთის მევენახეთა კრებისათვის შესაფერი დრო იქმნება ნოემბერი და ადგილი ქ. თელავი. კახეთის მრავალ მევენახეთაგან ხელმოწერილ პროგრამაში, ვაზის ავათმყოფობასთან ბრძოლასა და ამერიკულ ვაზის მოშენებას გარდა, ლაპარაკია აღძრული აგრეთვე კახეთის ღვინოების გასაღების, მევენახეთათვის იაფი კრედიტის დაარსების და სხვათა შესახებ.

—

თფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა თფილისის პოლიცმეისტერს, გამოუცხადეთ ყველა იმათ, რომელნიც საპყრობილედან თავისუფლდებიან, რომ მათ შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, შევიდენ შრომის სახლშიო.

—

ბელგიის მაღნებსა და თუნუქის (ცინკის) ჩამომსხმელ უსახელო საზოგადოებას ნება მიეცა იმოქმედოს რუსეთში. ამ საზოგადოებას აზრათ აქვს შეიმუშაოს და აწარმოვოს კავკასიაში ტყვია-ვერცხლის და თუნუქის მადნები.

—

ამ ჟამათ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში

№ 25--1899 წ. ‹ ‹ ‹

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანწმინდა (ხევი). დიდიხანი არ არის მას აქეთ, რაც მოხევეთა და მათის მზრუნველ პირთა ღაღადება ყურად იღო ქველმოქმედმა „ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ და პატარა მოხევეთ გაუხსნა ს. სტეფანწმინდაში სამრევლო სკოლა. სულ 6—7 წელზე მეტი არ არის, რაც ეს სკოლა არსებობს, მარა ნაყოფი კი საკმაოთ გამოიღო.

სკოლა დაარსებიდან 1897 წლამდის შვენიერათ იყო დაყენებული. განსაკუთრებით 1895 - 97 წლებში (რადგანაც იმ დროის მასწავლებელი ზ. გ. ნათაძე გულმხურვალეთ მოეკიდა სკოლის საქმეს). სტეფანწმინდის სკოლამ ხმა შორს გაითქვა და ქართველმა საზოგადოებამ რა ნახა, რომ ასეთ უმეცრებით მოფენილ მხარეს ცოდნისთვის და ნათლისთვის მიუგნიათ, როგორც საქართველოს დაბა ქალაქებიდან, აგრეთვე რუსეთის ქალაქებიდანაც უწერდენ ჟურნალ გაზეთებს, უგზავნიდენ შეწირულებას ფულათ თუ წიგნებათ ბიბლიოთეკისთვის; თვით ყმაწვილების სწავლების საქმე ხომ საუკეთესოთ იყო დაყენებული, მხოლოთ ყველა სწავლის მსურველს ვერ ღებულობდენ უადგილობის გამო და მომცრო ყმაწვილების მიღებას შემდეგი წლებისთვის გადადებდენ ხოლმე. ამ ხანში ხშირათ იმართებოდა სკოლაში გასართობი საღამოები, სადაც იკრიბებოდა მთლათ სოფლის ქალი და კაცი და უსმენდა პატარა მოსწავლეებს ლექსების სიმღერებს, და სხვა.

ამ წლებში შეიძინა სკოლამ „ჯადო ფარანი“ რომელიც შემოწირა თ. კ. ი. მუხრანბატონმა. ამ დროში ჰქონდა მასწავლებელს პატარა შინაური აფთიაქი, საიდანაც ყველა გაჭირვებული მოხევე უფასოთ სარგებლობდა წამლებით. ამავე ხანში არამც თუ სკოლას, სამრევლო ეკკლესიასაც კი ისეთი ანდამატური ძალა ეძლეოდა, რომ ყოველ დღესასწაულზე წირვალოცვის დროს ხალხით ივსებოდა ეკკლესია; დიდი და პატარა ქალი და კაცი ყველა სიამოვნებით მიეშურებოდა ხოლმე ეკკლესიისკენ, რათა დამტკბარიყვენ თავ-თავის პატარა შვილების და ძმების შვენიერი წკრიალა გალობით. მაგრამ ამ ხანამ დიდხანს არ გაატანა, ჩქარა დაუდგა ახალი ხანა და სკოლამაც უკან დაიწია.

ახალი ხანა დაიწყო 1897 წლიდან ე. ი. შემოდგომიდან 1898 წ., როცა ბედმა არგუნა ჩვენ სკოლას მასწავლებლად რ. შ. სკოლის საქმეც სულ უკუღმა დატრიალდა, მოსწავლეების რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს მდგომარე ამ წლის იანვრამდის თითქმის სულ დაცალიერდა, ასე რომ პოლიციაც კი ეღარ აგროვებდა ყმაწვილებს სკოლაში. აღარც ჩვეულებრივი საღამოების მართვა, აღარც ეკლესიაში ყმაწვილების გალობა ხალხს აღარ იზიდავდა, ბიბლიოთეკის წიგნები *) სულ ყვავ-კაჭკაჭებმა დაიტაცეს და ვინ იცის საით უკრეს თავი, სკოლაში თითქმის მარტო მასწავლებელი ღა დარჩა. ასე და ამ გვარათ სკოლა დაემსგავსა სულთმაბრძოლ სნეულს, იქნება სულიც დაელია და ასეთი მ.ომაკვდინებელი ცოდვის ბრალი, სრულებით უბრალოთ, ხალხს დაედებოდა, მაგრამ ვმადლობდეთ ბ-ნ ინსპექტორის ფხიზელ ყურადღებას, მან დაინახა რა სკოილის ასეთი გაჭირებული მდგომარეობა და მიხვდა მიზეზსაც, მოაშველა ახალი მასწავლებელი ბ. ა., რომელიც დიდი ენერგით შეუდგა სკოლის გამობრუნებას, კვლავ ფეხზე დაყენებას და შეასრულა კიდეც. ბ. ა—ს მოსვლისთანავე კვლავ შეიკრიბენ ის მოსწავლე ქალ-ვაჟები, რომლებიც ვერც მშობლებმა და ვერც პოლიციამ სკოლას ეღარ მიაკარეს; იანვრის ბოლო კვირიდან დაიწყო სწავლა და დღეს ჩინებულათ მიდის სკოლის საქმე; ამას ამტკიცებს სხვათა შორის ბ. ინსპექტორისაგან ბავშების გამოცდა რომლითაც დიდი კმაყოფილი დარჩა. 21 აპრილს ბ. გ. ყაზბეგის დიდ ზალაში გამართული იყო საღამო, სადაც ამ სოფლის ხალხს გარდა დაესწრენ სხვა სოფლებიდან და ფოსტის სადგურებიდანაც, სულ 300—ამდინ. ეს საღამო გამართული იყო მასწავლებლის და ფოსტის სადგურის უფროსის ა. თულაშვილის თაოსნობით. ხალხი დიდათ ნასიამოვნები დარჩა, მეტადრე პატარა მოსწავლეების სცენაზე წაკითხულის ლექსებით, მოთხრობებით და სიმღერით. ხალხში ბევრი ვაშა და ტაშისცემა ისმოდა. მონაწილეობას იღებდენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მოზდილი ახალგაზდები და ვაჟკაცებიც. შემდეგ ხალხმა მიულოცა მოთავეებს და უსურვა, რომ ამ გვარი საღამოები ხშირათ გამართონ ხოლმე. ბიბლიოთეკის რამდენიმე დაკარგული წიგნიც დაიბრუნა ახალმა მასწავლებელმა და, იმედია, ბიბლიოთეკასაც ისევ ფეხზე დააყენებს.

თუმცა დღეს ასე ჩინებულათ არის სკოლის საქმე, როგორცა ვთქვით, მაგრამ როგორც მე ჩვენს (ხევის) ბედს ვიცნობ, თუ ვინმემ ჩვენის კეთილდღეობისთვის ან ენა გასძრა და ან ხელი, იმას დიდხანს არ შეგვარჩენენ ან თითონ არ შეგვრჩება; თუმცა კი ჩვენ იმის მონატრე ვართ, რომ ეს ასე აღარ იყოს და ჩვენც შეგვარჩინოს დიდხანს ჩვენი კეთილი მზრუნველები. აგრეთვე სასურველია ისიც, რომ ამ გვარ კაცებს ხალხი ამხნევებდეს, გულს არ უტეხავდეს და

---

*) თუ არა ვცდები ბიბლიოთეკას 200 მანეთზე მეტი ფასის ქართულ-რუსული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ჰქონდა და ამ წლამდის 50 მანეთზე მეტისა აღარ დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაუგრძობდეს რომ არ ასრულდეს ნათქვამი: „სადაც მიესულვარ და ვისთვისაც ჯან ღონე შემილევია იმისგან სავსე ფიალა ნაღველი დამილევიაო“.

სტეფანელი.

საფლვარ-გარეთ

საფრანგეთი. საფრანგეთში უკვე შედგა ახალი სამინისტრო. დიუპუის კაბინეტის ნანგრევზე ვალდეკ რუსომ ააშენა თავისი კაბინეტი. რა კაბინეტია ეს? ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდათ, რომ დასცა დიუპუი. დიუპუი დასცა 296 დეპუტაცმა, (წინაღმდეგ 159-ისა), ამათშია 140 რადიკალი და რადიკალ-სოციალისტი, 59 პროგრესისტი, 45 სოციალისტი, 29 მონარქისტი, 23 ანტისემოტი და ნაციონალისტი, უმცირესს შეადგენდა 98 პროგრესისტი, 42 რადიკალი და სხ. ცხადია მხოლოთ რადიკალ-სოციალისტებს და სოციალისტებს მიუციათ ერთხმათ შავი, ხოლო სხვები კი დანაწილებულან, ზოგს შავი მიუცია, ზოგს თეთრი. მაშასადამე დიუპუი დასცა ამ მემარცხნეებმა და ამით მომავალი კაბინეტის პროგრამაც გამოითქვა. ვალდეკ რუსომ შეასრულა ეს პროგრამა. მან ისეთი სამინისტრო შეადგინა, რომ თავისი შემადგენელი ნაწილებით მთლათ გაანცვიფრა მთელი საფრანგეთი, მთელი ქვეყანა. ეს მესამე რესპუბლიკის პირველი სამინისტროა, რომელშიაც სოციალისტიც ზის და ეს პირველი სოციალისტი-მინისტრი ისტორიას უნდოდა უთუოთ ვაჭრობის მინისტრი ყოფილიყო. მისი სახელია მილიერანი. მას კიდევ ყავს ამხანაგი რადიკალ-სოციალისტი, კომუნის მინისტრათ ნამყოფი (1871 წ.), ბოდენი. ეს განაგებს საზოგადო სამუშაოს. და აი ამ თანამედროვე სოციალიზმის და პარიჟის კომუნის წარმომადგენელთ გვერდში უზის კომუნის გამანადგურებელი გენერალი გალიფეი! საფრანგეთის დემოკრატიას არც ერთი სამხედრო კაცი ისე არ ძულს, როგორც გალიფეი და მისი კაბინეტში შესვლა, რასაკვირველია, დიდი წინაალმდეგობა უნდა გამოეწვია. აი რას მოგვითხრობს გოლიფეის შესახებ ისტორია: 9 მაისს, 1871 წ., ვერსალის მთავრობამ პარიჟს რევოლიუციონური ჯარი დაამარცხა და პარიჟი აიღო. ჯარი შეიდა ქალაქში. ერთ კვირაში ოცი ათასი დახოცა და ორმოცი ათასი დაატყვევა. დატყვევებულთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის ბევრი ქალები იყვენ, ვერსალში გაგზავნეს სამხედრო სამსჯავროს წინაშე. გზაზე დახვდა გალიფეი. მან გააჩერა ტყვეები, ჩამოხტა ცხენიდან და დაათვალიერა.— შენ ინტელიგენტური გამოხატულება გაქვს, გამოდი აქეთ, უთხრა ერთს.— შენ საათი გქონებია, უთუოთ კომუნის მოხელე იქნებოდი, შენც ცალკე დადექი და ასე აარჩია ასამდი კაცი. ამათში ერთი ქალიც და ყველა ეს იქავე ფეხზე დაახვრეტია. მერე მიუბრუნდა ტყვეთა მეორე წყებას —ყველა თეთრ თმიანი გამოდით, უბრძანა მან. გამოვიდა ას თერთმეტი.— „თქვენ უეჭველია 1848 წ. ივნისს რევოლიუციაში მონაწილეობას მიიღებდით. თქვენ კიდევ მეტი დანაშაულობა მიგიძღვით ვინემსხვეს“. და ესენიც პირველთა გზას გაუყენა... აი ვინ არის გალიფეი და მის სახელს პარიჟის პროლეტარიატს ვერ გააგონებ. ვალდეკ რუსომ ეს კარგათ იცის და რამდენიმეთ ბოდიში მოიხადა, როცა პარლამენტის წინაშე განაცხადა: გალიფეი სამინისტროში ავიყვანე იმიტომ, რომ არც ერთი გენერალი ისე არ ემორჩილება კონსტიტუციას, როგორც ისო. გალაფეი წინაალმდეგია გენერალთა თავგასულობის და მორჩილია საქალაქო მთავრობის. ასეთი კაცი საჭიროა კაბინეტში ამ ჟამათ, როცა დრეიფუსის საქმის გამო თავი წამოყვეს რესპუბლიკის მტრებმა. სამინისტროს დანარჩენი წევრები ჩვეულებრივი მინისტრებია, ზოგი რადიკალია, ზოგი ზომიერია. თვითონ ვალდეკი ზომიერი რესპუბლიკანელია, გამბეტის და ფერის კაბინეტში მინისტრათ ნამყოფი. ის არის ანტიკლერიკალი, სამოქალაქო უფლების სამხედროზე მაღლა დამყენებელი და სხ. ამასთანავე შესანიშნავი მჭერმეტყველია. პანამის საქმეს მერე პოლიტიკაში პირდაპირ აღარ ერეოდა. სამინისტრომ უკვე გამოაცხადა თავისი პროგრამმა, რესპულიკას დაცვა, დრეიფუსის საქმის დაბოლოვება და სხ. ეს დეკლარაცია მიღებულ იქმნა მცირე უმრავლესობით (263—237 ხმა).

გერმანია. ეს მეცხრამეტე საუკუნე სწორეთ წიგნის საუკუნეა. ერთი დაბეჭდილი ქაღალდი დაუსრულებელ ლაპარაკს და დავიდარაბას გამოიწვევს ხოლმე. აი მაგ. აგერ ერთი თვეა რაც გერმანიის პარტიები აალაპარაკა ედუარდ ბერნშტაინის წიგნმა სოციალდემოკრატიის შესახებ. ავტორი ცნობილი სოციალ-დემოკრატია და თავის პარტიას ურჩევს: თავი დავანებოთ სოციალიზმის განხორციელებას და რეფორმების გზას დაეადგეთო. მარა პარტია უარს ყოფს ამას, უარ ყოფს თვით ავტორსაც, ჩვენი აღარა ხარო. ბერშტაინმა გამოიწვია მრავალი წინაალმდეგი წერილები და კიდევ უფრო მრავალი მიტინგები. აი რა თქვა ერთ ამათგანზე „ბოხუც“ ლიბკნეხტმა: „ბერშტაინის წიგნი ახალს არას შეიცავს. მისი აზრები, რამდენათაც სოციალ-დემოკრატიული არ არის, წერილ ბურჟუაზიულ „ფრანკფურტის გაზეთში“ და ღვდლის ნაუმანის ქრისტიანულ-სოციალურ „დახ-



ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომები (ფლოტი).

მარებაში" ყოველ დღე იწერება. უკანასკნელ მიმართულებას ბერშტაინი კიდევაც აღიარებს თავის მიმართულებათ. და თუ მართლა რწამს ყველა ის, რასაც წერს, რაკვირველია, ნაუმანის მხარეზე უნდა გადვიდეს. უეჭველია ნაუმანის „ქრისტიანულსაც" ჩქარა ისწავლისო".

— გერმანიის მთავრობამ რეიხსტაგს წარუდგინა ახალი კანონპროექტი შესახებ მუშათა გაფიცვისა. პროექტის ძალით სასტიკათ ისჯება ის მუშა, რომელიც უშლის გაფიცვის დროს მუშაობის განგრძობას და მით აიძულებს გაფიცვაში მონაწილეობა მიიღოს. მას უნიშვნენ რამდენიმე წლის ციხეს. რასაკვირველია, რას ჰქვიან ხელის შეშლა—ეს ძალიან განუსაზღვრელია. უბრალო მოლაპარაკებაც შეიძლება ამ კანონის ქვეშ მოიტანოთ. ასე რომ ამით გაფიცვის უფლება თითქმის ისპობა. ამიტომ მის წინააღმდეგ არის ყველა პარტია გარდა კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალების ერთი ნაწილისა. სოციალდემოკრატიამ უთვალავი მიტინგება მოახდინა პროექტის წინააღმდეგ გერმანიის ყველა ქალაქებში. პროექტის უარისყოფა დეპუტატებისაგან მოსალოდნელია.

— ქალაქ ულმის თვითმართველობამ ქალაქის მუშებისათვის დააარსა სიბერის და დასახიჩრების დროს დამხმარებელი კასსა. ის მუშა, რომელიც ქალაქის სამსახურში იყო ათი წელიწადი და მერე რაიმე უბედური შემთხვევის გამო შრომა აღარ შეუძლია, კასიდან მიიღებს წელიწადში 220—450 მარკას (7 მარკა—45 კაპ.); ამდენსავე მიიღებს 65 წლის და მეტის მუშა, რომელიც ქალაქის სამუშაოზე ყოფილა არა ნაკლებ 20 წლისა. კასაში მუშას არა აქვს რა შესატანი. ფულს ერთიანათ ქალაქი იძლევა.

— რა ნაირათ განვითარებულა კოოპერატიული ამხანაგობები გერმანიაში ჩანს შემდეგი ციფრებიდან: პირველი ამხანაგობა (ავათმყოფობის და დამარხვის კასსა) დააარსა შულჩემ ქ. დელიჩში 1849 წ. შემდეგ გამრავლდა ყოველ გვარი ამხანაგობები (განსაკუთრებით მომხმარებელი და შემნახველ-გამსესხებელი) და დაარსდა საერთო „კავშირი". ამ „კავშირს" ამ ჟამათ ეკუთვნის 1544 ამხანაგობა, ამათგან 1416 ს ჰყავს 904,640 წევრი, რომლებსაც წელიწადში ამხანაგობისაგან, კრედიტის და საქონლის სახით, ერთი მილიარდი რვაას მილიონზე მეტი მარკა გამოაქვთ (1,869,640,275 მარ.) ამ უკანასკნელი ამხანაგობის ძირის თანხას შეადგენს 41,557,912 მარ., სხვის ფული აქვთ 512,266,641 მარ. ხოლო ქონება კი 125.122,131 მარკის. ამ 1416 ამხანაგობათა შორის არის: 1) 924 საკრედიტო ამხანაგობა, რომელთა წევრია 125,192 დამოუკიდებელი ხელოსანი და 145,385 სოფლის მეურნე. ამათ 1897 წ. 900 მილიონი კრედიტი მიუღიათ; 2) 489 მომხმარებელი ამხანაგობა, სადაც 403,872 პირს უყიდია ყველა ცხოვრებისთვის საჭირო მასალები, ამათში ყოფილა დაახლოვებით 207,000 მუშა-ხალხიდან, რომლებსაც ამხანაგობებთან ვაჭრობით ხუთ მილიონამდე ფული გადაურჩენიათ. „კავშირს" ეკუთვნის აგრეთვე 31 სახლების ამშენებელი ამხანაგობა, რომლებსაც აუშენებიათ 82 სახლი, ამათში 45 სახლი 333 გასაქირავებელი ბინით.

საგულისხმო ციფრები.

ჩვენ წინ ძევს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ანგარიშები დაარსებიდან დღევანდლამდე (1876—98 წ. წ.). საიდანაც მოვიყვანთ შემდეგ საგულისხმო ციფრებს.

ქუთაისის ბანკს თავის არსებობის პირველ 7 წლის განმავლობაში (1876/77—1883 წლის ბოლომდე) გაუცია გძელ ვადიანი სესხი 4,261, 200 მ. ამათში 1,006, 800 მ. სოფლის მამულებზე, ხოლო 3,254,400 მ. ქალაქისაზე. ამავე დროში 588,600 მ. ვალი უკანვე დაუბრუნებიათ. მოკლე ვადიანი სესხი გაუციათ 318,087 მ. ამათგან 228,592 მ. შემოუტანიათ. ამ ოპერაციებისაგან ბანკს დარჩენია 262,435 მ. 71 კაპ. წმინდა მოგება. წელიწადში ორთა შუა რიცხვით მოდის 37,495 მ. 10 კ. ბანკს უზარალია 19,110 მ. 46 კაპ. ბანკის მართველებათ ყოფილან პირველ წელიწადს ბ. ლოლობერიძე, დანარჩენ ექვს წელს კი ნიკოლოზ ლოლობერიძე.

1884 წ. (ბანკის მართველია დადიანი) მინისტრის განკარგულების გამო გძელი ვადიანი სესხი არ გაუციათ, მოკლე ვადიანი კი გაუციათ ძალიან ცოტა-სულ 4,500 მ. ამ წელს ბანკს წინა წლებში დაგირავებულ მამულებისაგან დარჩენია სულ 97,625 მ. 95 კ. აქედან გაუსტუმრებიათ ბანკის ზარალი 57,703 მ. 68 კ. ბანკის გამგეობის ხარჯს გარდა წმინდა მოგება დარჩენილა 13,154 მ. 81 კ.

1885 წ. შემოსულა 95,356—01; ბანკის ზარალი და მართველობის შენახვაზე წასულა 56759 მ. 60 კ. წმინდა მოგება 38596 მ. 41 კ.

1886 წ. გაუციათ გძელ ვადიანი სესხი 197,300 მ. ამაში 78,200 მ. სოფლის მამულებზე, 99,100 მ. ქალაქისაზე. მოკლე ვადიანი 5,000 მ. მთელი მოგება ყოფილა 89,778 მ. 87 კ. ბანკის ზარალზე დახარჯულა 17,568 მ. 58 კ. მართველობის ხარჯს გარდა წმინდა მოგება დარჩენილა 44,788 მ. 30 კ.

1887 წ. გაუციათ 328,500 მ. ამაში 106,100

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. სოფლისაზე, დანარჩენი ქალაქისაზე. მოკლე ვადიანი კი 28,000 მ. მთელი მოგებაა 91,470 მ. 16 კ. აქედან ბანკის ზარალისთვის გადიდო 9,802 მ. 70 კ. გამგეობის ხარჯს გარდა წმინდა მოგება დარჩა 44,000 მ.

1888 წ. გაუციათ 357,000 მ. აპაში 50 400 სოფლის მამულებზე; დანარჩენი ქალაქისაზე. მოკლე ვადიანი სესხი 22,800 მ. მთელი მოგება ყოფილა 94,034 მ. 85 კ. ბანკის ზარალზე 30,000 მ. წმინდა მოგება 17,911 მ. 53 კ.

1889 წ. ყოფილა მთელი მოგება 945,91 მ. 81 კ., აქედან 71,732 მ. 35 კ. ბანკის ზარალი და გამგეობის ხარჯები დაუფარავათ. წმინდა მოგება დარჩა 22,859 მ. 46 კ. (ცნობა გირაოთა შესახებ არა გვაქვს).

1890 წელს (მართველი კ. ჩიკვაიძე) ბანკს გაუცია გძელ ვადიანი სესხი 274,000 მ. ამაში 79,400 მ. სოფლის მამულზე, დანარჩენი ქალაქისაზე. მოკლე ვადიანი 25,700 მ. შემოსავლიდან 20,000 მ. დაუფარავთ ბანკის ზარალი. ყოველიერ სხვა ხარჯს გარდა წმინდა მოგება დარჩენილა 20,460 მ. 36 კ.

1891 წ. გაუციათ 357,300 მ. ამაში სოფლისაზე 136,800 მ. მოკლე ვადიანი—86,300 მ. ბანკის ზარალია 19,576 მ. 86 კ. ამის და სხვა ხარჯების გარდა წმინდა მოგება ყოფილა 39,084 მ. 8 კ.

1892 წ. გძელ ვადიანი სესხი—478,500 მ. ამაში სოფლისაზე 101,900 მ. მოკლე ვადიანი—58,400 მ. შემოსავლიდან ბანკს ზარალს (22,366—93) და სხვა ხარჯებს გარდა წმინდა მოგება დარჩენია 31,914 მ. 26 კ.

1893 წ. გძელ ვადიანი სესხი—263,700 მ. ამაში სოფლის მამულზე 143,500 მ. ქალაქისაზე 125,200 მ. მოკლე ვადიანი სესხი—53,300 მ. ყოველიერ ხარჯს გარდა წმინდა მოგებაა 23,652 მ. 14 კ.

1894 წ. გძელ ვადიანი—362,000 მ. ამაში სოფლისაზე 123,700 მ. მოკლე ვადიანი სესხი 72,100 მ. წმინდა მოგება დარჩა 34,908 მ. 01 კ.

1895 წ. გძელ ვადიანი—226,100 მ. ამაში სოფლისაზე გაცემულა 59,600 მ. დანარჩენი ქალაქისაზე. მოკლე ვადიანი სესხი—73,800 მ. წმინდა მოგება დარჩა 34,950 მ. 69 კ.

1896 წ. გძელ ვადიანი 418,900 მ. ამაში სოფლისაზე—52,600 მ. (ამ წლიდან იწყება $36^4/_{12}$ წ. ქალაქის სესხის გაცემა). შემოსავლიდან ბანკის ზარალის დასაფარავათ გადაუდეიათ 64,636 მ. 47 კ. წმინდა მოგება—0.

1897 წ. გძელვადიანი სესხი 495,900 მ. ($36^4/_{12}$ წლის ქალაქის სესხია 337,500 მ.). მოკლე ვადიანი სესხი 101,000 მ. ყოველიერ ხარჯს გარეთ წმინდა მოგებაა 17,460 მ, 78 კ.

1898 წ. გძელ ვადიანი სესხი 370,100 მ. ამაში სოფლისაზე მხოლოთ 66,200 მ. მოკლე ვადიანი—108,700 მ. წმინდა მოგება 38,148 მ. 04 კ.

ამ ნაირათ, ოლოობერიძეების 7 წლის მართველობის დროს ბანკს წმინდა მოგება ჰქონებია 262,435 მ. 71 კ.; დადიანის ექვსი წლის მართველობის დროს—181,310 მ. 51 კ.; ხოლო ჩიკვაიძის ცხრა წლის მართველობის დროს 240,570 მ. 16 კ.

პირველ ხანაში გაიყიდა 67 მამული, მეორე ხანაში (1885 და 1889 წლის ცნობა არა გვაქვს) 135, ხოლო მესამე ხანიდან ხელთ გვაქვს მხოლოთ ორი წლის ცნობა: 1890 წ. 17 და 1891 წ. 52 მამული გაყიდულა (ამათში ზოგი ბანკს რჩებოდა და მერე ყიდდენ).

წერა-კითხ. საზ. უკანასკნელი კრების გამო.

ივნისის 7 მომხდარ კრებაზე წ. კ. საზოგადოების გამგეობამ ერთხელ კიდევ უკანასკნელათ გაგვაცნო თავი. გაგვაცნო თავისი მოქმედება, სურვილი, მისწრაფება. თუმც კარგა ხანია რაც ჩვენ მას ვიცნობთ, მარა სავსებით ბევრთათვის ის უცნობი იყო მისი სიმუნჯის გამო. ამ კრებაზე კი გამგეობამ ისახელა თავი. საზოგადოებას მისთვის მიუნდვია არა სახუმარო საქმე, მასაც უკისრია ამ საქმის წინ გაძღოლა და ის არა თუ წინ უძღვება ღირსეულათ—საქმეს უკან მოქცევია, ჩაუვლია მისთვის კისერში ხელი და რაც ძალა და ღონე აქვს უკან ეწევა. უსაქმობას შეჩვეულ გამგეობას მეტის მეტათ ეუცხოვა ბ-ნ ნ. ჭორდანიას წინადადება. გამგეობის ერთი მონათაგანი („ივერიაში“ მოთავსებული კრების ანგარიშის კორესპონდენტი) გულმტკივნეულათ ამბობს: ამ მოხსენებამ ბევრი დრო დააკარგვინა კრებასო. მეორე კი, ბ-ნი ი. მაჭავარიანი, განცვიფრებას გაუტაცნია და შემდეგ სიტყვებს სროლილობს: ნ. ჭორდანიას რაც თავში მოუვა, ყველაფერი ახალი ჰგონიაო. აბა რა არის ახალი, მიბრძანეთ, რომ რაც შეიძლება ბევრი წიგნთ საცავი დავაარსოთო.—რა გაკვირვებთ ბბ. „ივერიის“ მეანგარიშევ და ი. მაჭავარიანო! მარა აქაც უნდა გითხრათ, რომ არც ჩვენ უნდა გაგვიკვირდეს თქვენი გაკვირვება. განა არ ვიცით რა ყალიბის ბრძანდებით? თქვენ ხომ ყოველიერ ახლის წინაშე თრთით. თქვენთვის ხომ სიტყვა „ახალი“ ისეთი ჯადოა, რომელიც სულს გიხუთავთ. სულაც არ გვიკვირს, რომ ბ-ნ ნ. ჭორდანიას სიმპატიურ წინადადებების წინაშე, თქვენ, „ივერიის“ უსახელო მეანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშე და მთელი გამგეობა თავს ვერ იკავებთ, ზიზღს ვერ ჰფარავთ. ბ-ნო მაჭავარიანო! სიტყვა „ახალი“ აქ რა მოსატანი იყო? განა რაც ახალი არ არის, ყველაფერი უნდა უარვჰყოთ? ბიბლიოთეკის დაარსება კარგა ხანია რაც დაიწყეს. მაშ ეს ახალი არ არისო და უნდა მოესპოთ ბიბლიოთეკები?! არ უნდა ვიზრუნოთ იმათ გამრავლებისათვის? ბიბლიოთეკების დაარსება ნ. ჭორდანიას გამოგონილი არ არის. ის ძველი დაწესებულება არის, მარა დაწესებულება სასარგებლო. კარგათ დაყენებული ბიბლიოთეკა ყოველთვის სასარგებლო ყოფილა, არის და იქნება. ბ ნ ჭორდანიას წინა-დადებაში ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ იცით ახალი რა არის? აი რა: გამგეობას ძინავს (თუმცა არც ეს არის ახალი, მარა „ყურ-მოჭრილ მონებისათვის“ ეს ახალია), ის აბლაკატობას გაუტაცნია, თავისი პირდაპირი მოვალეობა განზე გადუდვია; ამ გამგეობას იმდენი სარგებლობა არ მოაქვს, რამდენის მოტანაც შეუძლია, თუ მის სათაველში მომქმედი ადამიანები იდგებიან. მიეცით საზოგადოებას რიგიანი ანგარიში თქვენი მოქმედებისა, დაანახეთ მას, რომ თქვენ მოქმედებთ სინათლეში და ჩვენი საზოგადოება ისე ძუნწი არ არის, რომ დიად საქმისათვის ორიოდე გროში დაიშუროს. ახლა კი თქვენი ამ გვარი ჩუმი მოქმედებით იქვის თვალით გიცქერიან და საკვირველიც არ არის რომ იძახოთ: ფული არ გვაქვსო... აი, რით დაადგეს გამგეობას კუდზე ფეხი! აი, რამ ააკივლა „იესერიის მეანგარიშე და ბ-ნი ი. მაჭავარიანი!.. ამაზე არა ნაკლები გაოცება გამოუწვევია ნ. ჭორდანიას შემდეგ წინადადებას სენაკის სკოლის შესახებ: იმ ფულებით, რაც სენაკის სკოლაზე იხარჯება, შესაძლოა დაარსდეს ორი სასწავლებელი — იმ ტიპისა, რა ტიპისაც სენაკის სკოლაა. ბათუმის სკოლას იგივე პროგრამა აქვს, რაც სენაკისას. პირველზე იხარჯება 2,000 მ., მეორეზე - 7,000. პირველში მოწაფეთა რიცხვი გაცილებით მეტი ყოფილა, ვინემ მეორეში. ერთში ორი მასწავლებელია, მეორეში კი 5 და ერთიც აღმზრდელი. როგორც ანგარიში მოწმობს ბათუმის სკოლაში სწავლის საქმე სანატრელ მდგომარეობაში ყოფილა. ამ წინადადების საწინააღმდეგოთ გამგეობის თავმჯდომარეს, თ. ი. ჭავჭავაძეს, უბრძანებია: „გონიერული პედაგოგიური მოსაზრება იმას კი არ მოითხოვს, რომ ბევრ მოწაფეს ცოტა მასწავლებელი ჰყავდეს, არამედ იმას, რომ ცოტა მოწაფეებს ბევრი მასწავლებელი ჰყავდეს. სანატრელათ უნდა მიგვაჩნდეს ის, რომ სენაკის სკოლაში ბევრი მასწავლებლებია. ღმერთმა სენაკის სკოლას მისცა საშუალება და თქვენ კი იძახით, რათ უნდა ამდენიო, თითქო სკოლას ეს საშუალება აწყენდესო“.. გამგეობა უთუოთ დიდი მოხარული იქნებოდა, რომ სენაკის 4 განყოფილებიან სკოლაში 6 კი არა, 20 მასწავლებელი იყოს; ის ყურსაც არ გაანძრევდა და კრინტსაც არ დაძრავდა, რომ რაც სენაკის სკოლაზე იხარჯება, იმ ფულებით ათი სკოლა შეინახება და გაეხსნათო. ბატონებო! გაიგეთ, რომ ის 7,000 მანეთი, რაც სენაკის სკოლაზე იხარჯება, არც გამგეობისა არის და არც კ. ლორთქიფანიძის. ეს ფულები ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებისა არის, ეს საზოგადო ფულებია. ეს ფულები იმისთვის კი არ ჩაუბარებიათ პატრონებს თქვენთვის, რომ ამ ფულებით თქვენი ქონი დაიკმაყოფილეთო. ეგ ფული გონიერულათ მოახმარეთ სწავლა-აღზრდის საქმესო. რა ნაირი სოფისტური მსჯელობაც უნდა იხმაროთ, რაინარ კაზუისტიკასაც უნდა მიჰყოთ ხელი, ეს მაინც ცხადი არის, რომ იმ ფულებით, რაც სენაკის სკოლაზე იხარჯება, შეიძლება დაარსდეს თუ სამი არა, ორი მაინც იმ ტიპის სასწავლებელი, რა ტიპისაც სენაკის სკოლაა. ეს ისე ცხადია, როგორც ორჯერ ორი არის ოთხი. მხოლოთ არ ჰსურს გაიგოს ეს გამგეობამ, არ სურს დახმარება გაუწიოს ამ მეტი ფულებით იმ გვარ უსკოლო მხარეს, როგორიც, თუ გინდ, ზუგდიდის მაზრაა.. გამგეობას შეუნიშნავს, რომ ბათუმის სკოლა არ არის ისეთი სკოლა, როგორიც სენაკისა. ამ უკანასკნელში პროგრამა უფრო კარგია: ოთხი კლასია და მიზანი უფრო ფართო აქვსო. სენაკის სკოლა ამზადებს უმაწვილებს გიმნაზიის პირველ კლასისთვისო. საკვირველია, თან სასაცილო და სამწუხარო ამ გამგეობის საქმე. უკისრია ისეთი საქმის ხელმძღვანელობა, როგორიც მას უჭირავს ხელში და ის კი არ იცის — სად რომელი პროგრამის სასწავლებელი აქვს. ჩვენ ნამდვილათ, ვიცით, რომ სენაკის 6 მასწავლებლიან სკოლას და ბათუმის 2 მასწავლებლიანს ერთი და იგივე პროგრამა აქვს. ისიც ვიცით, რომ ბათუმის სკოლიდან წაიღეს პროგრამა სენაკის სკოლისათვის. რაც უნდა გაჭიმოთ, გაწეწ-გამოწეწოთ სენაკის სკოლა, გინდ ოთხ კლასიანი უწოდოთ, გინდ ოთხ განყოფილებიანი, მაინც იმ გვარიეე სკოლა არის, როგორიც ბათუმის. იქაც ოთხი განყოფილებაა და ბათუმშიაც ოთხი განყოფილება. გესმისთ ოთხი! 4 და 4 ერთმანეთს უდრის. ის კი თქვენ ნებაა თუ არ დამიჯერებთ, და იტყვით, რომ 4 და ოთხი ტოლნი არ არიანო. რაც შეეხება იმას, რომ სენაკის სკოლა შეგირდს ღემნაზიის პირველ კლასისთვის ამზადებსო, მაგაზე აი რას მოგახსენებთ: წ. კ. გ. საზოგადოების ანგარიშში არსად არ არის ნათქვამი, რომ სენაკის სკოლიდან შეგირდი ღემნაზიის ამა და ამ კლასში შეეიდაო. ბათუმის სკოლიდან კი შარშან ღემნაზიაში შესულა 3 და წელს შეეიდა 7. აქე-

დან აი, რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ: გამგეობამ ან არ იცის თავის სკოლის საქმეები და ან ცდება. ამ ორში ან ერთია, ან მეორე. მარა ორივე ერთი მეორეზე უარესი კი არის.—წარმოადგინა რა გამგეობამ თავისი აზრი სენაკის სკოლის მომეტებულ ხარჯის შესახებ და ბრძანა რომ სკოლაზე რაც მეტი დაიხარჯება მით უკეთესიაო, დაამატა: ჩვენი საქმე მაინც არ არის ეს. ეს ქუთაისელ კომიტეტის საქმეაო. კარგათ ვიცით, რომ ქუთაისელი კომიტეტი და გამგეობა ძმობილებია. რაც ერთსა სურს სენაკის სკოლის შესახებ, ის მეორესაც, მხოლოდ ამ ჩვენ პატივცემულ გამგეობას ძალიან გატეხია იმედი, როგორც ეტყობა.

გამგეობის წევრებს, ნოე ჟორდანიას წინადადებაზე—ახალი სკოლები გახსენითო, წამოუძახიათ: სხვაგან სკოლის დაარსება ძალიან საეჭვო არისო: ახალი ბიბლიოთეკის გახსნაც საეჭვოაო. ამ გვარ გამგეობისაგან ახალი სკოლების და ბიბლიოთეკების დაარსება, მართლა რომ საეჭვოა. ან სად აქვთ დრო, ბატონებო, გამგეობის წევრებს და მათ თავმჯდომარეს ახალი სკოლების და ბიბლიოთეკების გახსნის თაობაზე შესაწუხებლათ! მოგეხსენებათ, ყველას თავთავისი საქმე აქვთ. როგორ ფიქრობთ: თ. ი. ჭავჭავაძეს რომ მოცლა ჰქონებოდა, შარშანდელ 37 სხდომაზე მხოლოდ ორჯერ დაესწრებოდა?!. ან და წლევანდელს 39 სხდომაზე მხოლოთ რვაჯერ მობრძანდებოდა მეტს არა?!. რო მოცლა ჰქონებოდა, რასაკვირველია, მობრძანდებოდა.

ახლა მოვისმინოთ გამგეობის წევრთა ის აბლაკატური „რეჩი", რომელშიაც იგინი სენაკში სკოლის მოწაფეთა რიცხვის შემცირებას ხსნიან. გამგეობის მდივანი ბ-ნი კარიჭაშვილი აი რას ამბობს ამის შესახებ: „სენაკის სკოლას აზრათა აქვს მოსწავლეთა მომზადება ღიმნაზიისთვის. შეძლებულ თავად-აზნაურებს შვილები პირდაპირ ღიმნაზიაში მიჰყავთ. შეუძლეველი თავად-აზნაურები კი ვერ ბედავენ შვილების ღიმნაზიისთვის მომზადებას, რადგან, შეუძლებლობის გამო, მათ არ შეუძლიათ შვილებს სწავლა გააგრძელებინონ ღიმნაზიაში. ეს, სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ სენაკის სკოლაში სწავლა-დამთავრებულთაგან ძალიან ცოტანი მიდიან ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაშიაც კი, სადაც გამოუცდელათ იღებენ და სადაც უფრო იაფათ უჯდებათ სწავლა. წინათ სენაკის სკოლას ეტანებოდენ ქართული ენისთვის, ახლა მშობლის თვალში ამ სკოლას აღარც ეს უპირატესობა აქვს, რადგან სამრევლო სკოლებში ასწავლიან ქართულს. თვით სენაკში სათავად-აზნაურო სკოლის გარდა არსებობს ორი სასწავლებელი — სამინისტრო და სამრევლო, სადაც ქართულსაც ასწავლიან. ასე რომ ამ დაბის მოსწავლენი სამ სკოლაში იფანტებიან... ყველა ამ მიზეზის გამო ადვილი ასახსნელია, რატომ არიან შედარებით ცოტანი სენაკის სკოლის მოსწავლენი." („ივერია" № 121.) თუ კარიჭაშვილს გაუგია მიზეზი სენაკის სკოლაში მოწაფეთა რიცხვის სიმცირისა, ბ-ნ ცხვედაძეს, თავმჯდომარის ამხანაგს, ეს მიზეზები არ ცოდნია და ამბობს: „სენაკის სკოლაში გამოძიება სწარმოებს და ეს გამოძიება აგვიხსნის მაგ მოვლენის მიზეზსაცო." ჩვენ მიტომ მოვიყვანეთ ამ ორატორებთა „რეჩები". რომ ნათლათ დავინახოთ გამგეობის ლოლიკური და „გონივრული პედაგოგიური მსჯელობანი". ცხვედაძე ამბობს:—მიზეზები არ ვიცითო, კარიჭაშვილი ამბობს: ძალიან კარგათ ვიცითო, ეს ის არისო, რომ პირველ და მეორე განყოფილებიდან მოსწავლენი გადიანო. დაბა სენაკში კიდევ ორი სასწავლებელია, სადაც ქართულს ასწავლიან და ჩვენ სკოლას კონკურენციას უწევენო. [1]) ილია ჭავჭავაძე ამბობს: სენაკის სკოლა ღიმნაზიისათვის ამზადებს ბავშებსო. კარიჭაშვილი ლაღადებს: სენაკის სკოლიდან არა თუ ღიმნაზიაში სათავად-აზნაურო ქუთაისის სკოლაშიაც არ მიდიანო... მოდით ახლა და თქვენ გაიგეთ აქ საქმე. ერთის აზრი მეორისას ეწინააღმდეგება, მეორისა მესამისას და ამ უკანასკნელის კი დანარჩენ ორისას. აი, ლოლიკაც ეს არის! აი, გამგეობაც ამას ჰქვია! მარა ამ გამგეობისათვის რომ „უგამგეობა" დაერქმიათ, სწორეთ სწორი სახელი იქნებოდა.

ბევრი ბაასი გამოიწვია ნ. ჟორდანიას კითხვამ, თუ რა მიზეზით გადაიყვანეს სამი მასწავლებელი სენაკის სკოლისა სხვა და სხვა სასწავლებელშიო—ამბობს „ივერიის" მეანგარიშე [2]), საინტერესო იყო ამ

---

[1]) ჩვენ ვიცით, რომ დ. ძველ სენაკში სათავად-აზნაურო სკოლის გარდა მხოლოდ ერთი სასწავლებელია —სამინისტრო, სადაც ქართულ ენას არ ასწავლიან. სამრევლო სკოლა იქ არ არის. ეს ბ-ნ კარიჭაშვილის ფანტაზიის ნაყოფია. ჰ. ბ.

[2]) ეს უსახელო „ივერიელი" ძალიან გაუბრაზებია ნ. ჟორდანიას წინადადებებს. ყოველ მის სიტყვაში გამოკრთის კბილ მომტვრეული ირონია. თავის ანგარიშში ერთი იგავიც კი ჩაურთავს, რომელიც მას მეტის მეტად ახასიათებს. ამ გვარ მეანგარიშეს რაღა ობიექტიური ანგარიში უნდა მოვთხოვოთ! რასაკვირველია ამ გვარ ანგარიშში ბევრი გამოტოვებული იქნება ისეთი, რაც ამ „ივერიელის" ბატონს არ მოსაწონი სიტყვა უთხრეს. ეს ცხადათ ჩანს: მხოლოდ მთელი ანგარიშში გამგეობის წევრების და თავმჯდომარის „რეჩების" აქვს მოყვანილი. არა მგონია, რომ სხვები იქ მუნჯები ყოფილიყვნენ!

ჰ. ბ.

ბაასის გადმოცემა, „,ივერიის" უსახელოვ! მარა ამ ბაასში შენი და შენი ბატონებისათვის არაფერი მოსაწონი იქნებოდა, მიტომ აგიხვევიათ განზე... აგერ რამდენი ხანია საზოგადოება თხოულობს გამგეობისაგან: დაგვისახელეთ მიზეზები მასწავლებელთა გადაყვანისა, დაგვისახელეთ ის შეცდომანი მასწავლებლებისა, რისთვისაც იგინი დასაჯეთო. ამას თხოულობს საზოგადოება ბეჭდითი სიტყვით, მარა არა და არა. დამსაჯველთაგან ამ გვარი პასუხი მოისმის: ეს თქვენი საქმე არ არის, ეს ჩვენი საქმეაო. ბოლონდელ საზოგადო კრებაზე ბ-ნ თავმჯდომარესაც ასე უბრძანებია: „,ჩვენის აზრით საქმის სიკეთე მოითხოვდა, რომ სამი მასწავლებელი გადაგვეყვანა და ამიტომ გადავიყვანეთო, ამ შემთხვევაში გამგეობა სარგებლობდა თავის უფლებებით და არავის აქვს ნება (bis) მოსთხოვოს მას პასუხი იმის შესახებ, თუ რათ ვისარგებლეთ ამ უფლებითო." როდესაც კამისია უხსენებიათ, მას ასე უბრძანებია: „,კრებას არა აქვს უფლება დანიშნოს კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა გამგეობა, როდესაც თავის უფლების და მოვალეობის ფარგალში მოქმედებდა. თქვენ შეგიძლიანთ მხოლოთ შეამოწმოთ, ნამდვილათ მომხდარა ის, რაც ანგარიშშია მოხსენებული, თუ არა. ხოლო თუ ნამდვილად მომხდარა და ეს მომხდარი გამგეობას ჩაუდენია თავის უფლების ფარგალში, მაშინ საზოგადო კრებას არაფერი რჩება იმის მეტი, რომ სახეში მიიღოს იგიო („,ივერია" № 122)." ე. ი. კრებას აი რა უფლება ჰქონებია: მან უნდა ჩაიხედოს ანგარიშში და შიგ რასაც ნახავს, იმის შესახებ უნდა იკითხოს: ეს ასე არის, თუ არაო. ანგარიშში სწერია; მასწავლებლები გადავიყვანეთო. თ. ი. ჭავჭავაძის „,გონივრულ პედაგოგიურ" აზრით კრებას აქვს მხოლოდ უფლება იკითხოს: მართლა გადიყვანეს მასწავლებლები თუ არაო. აი, კრებამ თურმე"ეს უნდა შეამოწმოს, მეტი არაფერი! ამას რა დიდი შემოწმება უნდა, თქვენო ბრწყინვალებავ, განა საზოგადოებამ არ იცის, რომ მასწავლებლები გადაიყვანეთ?. იცის და მიტომ გეკითხებათ, რატომ გადაიყვანეთ, რა დააშავესო. გესმით, ბატონო! რა დააშავესო, ამის გაგება სურთ. სურთ გაიგონ მასწავლებლები მართლა დასჯის ღირსი იყვნენ და სენაკის გმირი ადგილზევე დატევოვებისა? გეკითხებიან უქვეშევრდომელესათ: გვაცნობეთ მასწავლებელთა დანაშაულობა და ყიფიანის უდანაშაულობაო. თქვენ კი ამბობთ: ამის კითხვის უფლება არ გაქვთო. ვბედავ შეგეკითხოთ: აბა რის უფლება გვაქვს? რატომ არ იძლევით პასუხს, დარწმუნებული ვარ: პასუხს ისე არ გაექცეოდით, სინათლეს ისე არ დაემალებოდით, რომ „,რაღაცა" არ იყოს. რატომ შიშობს ქუთაისში კომიტეტი და თფილისში გამგეობა სენაკის ისტორიის გამოქვეყნებას? ცხადია აქ ძაღლის თავი არის დამარხული და ზედ კალთას აფარებენ. ვინ იცის, იქნება მასწავლებლები არიან დამნაშავენი. აკი უბრძანებია თ. ი. ჭავჭავაძეს: ამხანაგები არ დამეთანხმენ, თვარა ის მასწავლებლები უნდა დამეთხოვა სამსახურიდან ისეთი წერილი გამოგზავნეს გამგეობაშიო. ვინ იცის, იქნებაის წერილი მართლა ისეთია, რომ მათი დამწერი დასახრჩობი ხალხია. აცნობონ საზოგადოებას ეს წერილი. რას უყურებენ! მარა, დარწმუნებული ვართ, ეს მხოლოთ სიტყვებია და მეტი არაფერი. 1)

კ. გოგოლაძე.

ო ლ ო ნ დ ა ც!

(პატარა ამბავი)

შემდეგი *)

II

თფილისის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე და ბინძურ ეზოში, სხვათა შორის, ერთი პატარა ორთვალა სახლიცა დგას. დაჩაგრულ კაცივით ამოჭფარებია ეს სახლი მის წინ აგებულ უზარ-მაზარ შენობას და საცოდავათ მოკრუნჩხული ბოსელს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანთა საცხოვრებელ ბინას. წინ ამ სახლებს პატარა, აგურის იატაკიანი, მოაჯირი აქვს მოდგმული და უამისოთაც დაღრემილი, მეტათ ჩაბნელებულია. მზე ათასში ერთხელ თუ მიადგება ხოლმე და ისიც ძალიან ცოტა ხნით,.. ყარს მთელი ეზო, მაგრამ ამისი ჯავრი არ აწუხებთ სახლის პატრონებს. თითონ ქუჩიდან აქვთ შესავალი, რომლის ლამაზ კარებზედაც თუნუქის გაპრიალებული ფიცარია მიკრული, სახლის პატრონის სახელისა და გვარის ზედ-წარწერით. იქნება ისე გავიდეს ხოლმე კვირეები და ხშირათ თვეებიცა, რომ ეზოში ერთხელაც არ გადაიხედონ დიასახლისმა და მისმა ლამაზმა ქალიშვილებმა. მხოლოთ მოხუცი ავეტიქა თვეში

1) ერთი საინტერესო ამბავიც გაგვაგებინა ამ კრებამ. ბ-ნ ცხვედაძეს უთქვამს: ბათომში სკოლის კომიტეტი იყო წინააღმდეგი ბიბლიოთეკისა: ეს ხმები იყო ბათომის საზოგადოებაში და მართალი ხმები ყოფილა. საჭიროა [illegible] ხმა გაგვცეს ამ კომიტეტმა: მართალია ეს თუ ტყუილი? და თუ დუმილით გვიპასუხებენ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბიბლიოთეკა მართლა არ ნდომებიათ. მასწავლებლებისა!

კ. გ.

*) იხ. „კვალი" № 24

ერთხელ (და თუ სახლის ქირა დაუგვიანეს თითქმის ყოველ-დღე) შემოვა ხოლმე ამ ეზოში, პირდაპირ გასწევს მდგმურისაკენ და ფულსა თხოულს. მეტი არა იცის რა. მართალია მყრალი სუნი კი ეცემა ხოლმე ცხვირში, მაგრამ აგრე რიგათ ყურს არ იბერტყავს, ვინაიდან ავეტიქა სირაჯანაში გახლავთ გაზრდილი და ეს იცის რამდენჯერ ძინებია ავლაბრის მყრალ დუქნებში, მყრალი რუმბების გვერდით და განა ამისთანა კაცს გაუკვირდება რამე? გარდა ამისა ფულებს ხომ იღებს მდგმურებისაგან და სხვა კი რა უნდა მოეთხოვოს ავეტიქა მინაიჩს!....

ნაშუადღევის სამი საათი იქმნებოდა, როდესაც ჩვენგან დასახელებულ პატარა სახლის მოაჯირს ერთი ახალგაზდა მანდილოსანი გადმოეყუდა და ნაღვლიანათ ჭისკარისკენ ყურება დაიწყო. მალე მის გვერდით ორი ბავში აიტუზა და დედის კაბის კალთებზე მოეკიდა.

— დედა! დედილო! ჰმ... ჰმ... სლუკუნებდენ ბავშები

დაღონებულ-დაძმარებული დედა დიდხანს ყურადღებას არ აქცევდა ბავშებს, მაგრამ საქმე რომ გაუჭირვეს მეტი ღონე აღარ იყო, ხმა უნდა გაეცა.

— რა გინდათ გენაცვალოთ დედა! ალერსიანათ შეეკითხა შვილებსა.

— პური გვშიან, გვაჭამე! ერთ-ხმათ წამოიძახეს ბავშებმა.

— იქნება მართლა! უი, ის საძაგელი ჩიტი, დახე როგორ მოუტყუებიეარ! აი, აი, აი! ღიმილით გაეხუმრა დედა და რომ ცოტა კიდევ შეეოკებინა ვითომ და გაკვირვებით დაუწყო ბავშებს ცქერა.

ბავშებიც განცვიფრდენ და ერთ-ხანს გაჩუმდენ. გულ-დათუთქული დედა-კი ისევ ფიქრებში გაება.

— დედილო!.... კიდევ დაიზმუკუნა უნცროსმა ბავშმა.

— დედა! ბანი მისცა მეორემაც.

— ბნედა და სიკვდილი! რა მოგიყიდათ! გაჯავრებით წამოიძახა დედამ და თვალზე სიმწარის ცრემლი მოადგა. ქეთოს სრულიადაც არ უნდოდა ბავშების დაწყევლა, მაგრამ შავი ფიქრებისაგან გულზე მოწოლილი ბოლმა წყეველით მოიოხა. ბავშებმა შუბლ-ქვეშიდან შეხედეს დედას და კვლავ ხმა დაბლა გაუმეორეს:

— პური გვშია! ჩვენი დედილო არა ხარ, რა არის ახლა რო გვაჭამო!

— აკი, ვამბობ, გენაცვალოთ დედა, ჩიტმა მითხრა მეთქი, რომ არ შიანთო. მართალია? მოუტკბილა ხმას ქეთომ და მწარეთ ამოიოხრა.

— არა, დედა არ მომიკვდეს, მშია! ამოიგმინა უნცროსმ.

— მეცა მშია დედა, ღმერთმანი, კვერი[illegible] კრა უფროსმაც.

— აკი გეუბნევით ფიცილი ნუ იცით მეთქი თქვე საძაგლებო. სიტყვა ბანზე აუგდო დედამ შვილებს.

— ეი, თუ კი გვშია რა! ერთხმათ წამოიძახეს ბავშებმა და უარესათ მოებღაუჭენ კალთებზე და თანაც განუწყვეტლივ შესძახოდენ.

— დედა. დედილო, დედა... ჰმ... ჰმ...

ტყვილათ ცდილობდა საბრალო დედა ბავშების რამენაირათ გართობას. ბევრგვარი ხერხიც მოიგონა, მაგრამ მშიერ ბავშებზე ვერაფერი გაწყო.

— უი, მოგიკვდეთ თქვენ დედა, მაშ, გშიათ, გშიათ!? ათი ათასჯერ ეკითხებოდა დედა და თან მოუთმენლათ გზისკენ გაიყურებოდა. ბოლოს თითქოს რაღაც მოაგონდა, მწარეთ ჩაიცინა, ბავშებს მიეალერსა და უკანასკნელ ხერხსაც მიჰმართა.

— პურს როგორ არ გაჭმევთ, აბა, მაგის გულისათვის როგორა სლუკუნებთ—საგრძნობელი კილოთი დაიწყო ქეთომ, მაგრამ მამას არ უნდა მოვუცადოთ? აი, გიგლა ეყურე ამ მოაჯირსა, როცა მზე ამ ადგილას არ წამოდგება (ქეთომ ბრჩხილით გახაზა), სწორეთ მაშინ მოვა მამა თქვენი და სუფრასაც გავშლით.

— დილილმე! ერთხმათ წამოიძახეს ბავშებმა და დანიშნულ ადგილას თვალი აღარ მოაშორეს. დედა კი შებრუნდა ოთახში, ღაპაღუპით მწარე ცრემლები გადმოჰყარა თვალთაგან და ნაღვლიანათ წარმოთქვა.

— ოხ, გენო, გენო, ეიწვი ამ ბავშების ცოდვით, თორემ მე ჯანიც გამვარდნიაო.

მკითხველი მიხვდებოდა, რომ ეს ქალი გენოს ცოლი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბავშები—მისი შვილები. დიახ, გენო სულ ყმაწვილი კაცი იყო, მაგრამ მალე დაცოლშვილდა და მით უფრო გაჭირვებაში ჩავარდა. და მერე როგორ გაჭირვებაში? უკანასკნელ ხანებში ასე შეეკრა ფულის საშოვარის გზა და კვალი, რომ მშრალ პურსაც ვეღარ ყიდულობდა ბავშების გამოსაკვებათ და ხშირათ მთელი დღეობით უსადილონი ისხდენ ხოლმე... ამ დღესაც, როდესაც გენო კვლავ გაემართა ადგილის საშოვნელათ, სახლში ერთი გროშიც არ დაუტოვებია. რაც პური ჰქონდა ქეთოს დილითვე შეაჭამა ბავშებს და თითონაც მშიერი, გულგადალეული მოელოდა გენოს. ხოლო ბავშებს დილას აქეთა ატყუებდა და ტკბილი სიტყვებით ათათბირებდა

მზემ წამოიწია და გახაზულ ადგილს მოუახლოვდა. ბავშებმა სიხარულით ხტუნვა დაიწყეს და დედასთან შეცვივდენ. გულ-ამომჯდარმა დედამ აღარ

იცოდა, რა მოეგონებინა და ის-ის იყო ბავშებზე უარესათ თითონვე ატირდებოდა, მაგრამ ამ დროს გენოც ეზოში შემოვიდა.

სიარულისაგან დაღალულს ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა, სახე დაღაროდა და გაფითრებულს მომაკვდავის ფერი დადებოდა.

— რა ქენი, კაცო? სახლში შესვლისათანავე მიაძახა ცოლმა, თუმცა კი მის თვალებში ყველაფერი ნათლათ ამოიკითხა.

— არაფერი, ჩემო კარგო... განა არ იცი, რასაც ვიზაძდი. ყრუთ უპასუხა გენომ და მისკენ გაქანებულ ბავშებს მიუალერსა.

— მოხვედი, მამილო... ატიკტიკდენ პატარები. დედამ უშენოთ პური როდი გვაჭამააა! ისეთი კი მშია, ისეთი, რომა.., აღარ ისვენებდა გიგლა.

— მართლა, მიდი ერთი ფურნეში პური გამოართვი. თავ-პირი მომაჭამეს ამ საძაგლებმა, აქამდის რის ვაი-ვაგლახით დავიოკე, ე დედამკვდრები. გაუბედავათ უთხრა ქეთომ და ქმრის გასამხნევებლათ დაუმატა.

— არა უშავსრა, ღმერთი მოწყალეა. იქნება როგორმე გამოკეთდეს ჩვენი საქმე.

— ღმერთი, ხომ ღმერთია, ჩემო კეთილო, მაგრამ გაავზნევებულ ხალხს კი ყველაფერი დავიწყებია—ნაღვლიანი კილოთი ჩამოართვა სიტყვა გენომ და ამოოხვრით განაგრძო.

— ეჰ, ღარიბი კაცის ცხოვრება მარტოოდენ დამცირებაა!

— ოღონდაც! თავის და უნებურათ წამოიძახა ქეთომ და თითქოს თავისსავე სულ-მოკლეობისა შერცხვაო, სანდომიანათ გაიღიმა და გენოს კიდევ თხოვნა გაუმეორა.

გენომ ფრთხილათ ჩამოსხა თავის მუხლებზე შემსხდარი ბავშები, ერთი მწარეთ ამოიოხრა და ფურნისკენ გასწია.

ფურნე შორს არ იყო, მაგრამ თითქმის ერთი თვე იქმნებოდა, რაც გენო ნისიათ ხარჯავდა პურს და ახლაც რომ უფულოთ მიდიოდა, ფეხები უკან რჩებოდა. როდის, როდის მივიდა მეფურნესთან და უთხრა.

— თომა, აბა, სამი გირვანქა პური კიდევ მომეცი, შენი ჭირიმე... მაპატიევე, გეთაყვა, რომ ამდენი ხანია ნისიათ მიმაქვს. ღმერთმა ხომ იცის, მე შენ ფულებს არ შევჭამ. ეს ხომ უსვინიდისობა იქნება.... გაუბედავათ უთხრა გენომ მეფურნეს და თვალი ვერ გაუშტერა. თომა—მეფურნე ზლაზვნით წამოდგა, აუწონა სამი გირვანქა პური, გადმოუდვა დაზგაზე და თან დაატანა.

— თუ არ შეჭამ, ხომ კარგი, თუ არა და....

ჩაყლაპა სიტყვები თომამ და წარბ შეკვრით შეხედა.

ლახვარივით მოხვდა გენოს ეს სიტყვები გულში და მწარეთ ამოიოხრა.

— აბა, რათ უნდა მაგას შენი სინიდისი, შენი პატიოსნება... შენ ფულები, ფულები მიეცი! წაილუღლუღა გენომ და ბარბაცით ახლა მეწვრილმანის დუქანში შეუხვია.

— შენი ჭირიმე, არტემ, გირვანქა ნახევარი ძეხვი და ერთი პაჭკა თუთუნი მომეცი. ღმერთმა ხომ იცის, მე შენ ფულებს არ შევჭამ... მალე გადაგიხდი. ბუტბუტებდა გენო. გაზეპირებულ სიტყვებს.

— ე ხომ მალე... მალეა, მაგრამ უზურში ერთი ეს ვიკითხოთ, როდის იქნება ეს „მალე“ ჰა, გენო! კი არა გეწყინოს რა, შენი სულის ჭირიმე. მე ისე მოგახსენებ, უთხრა მეწვრილმანემაც, მაგრამ გენომ კარგათ იგრძნო, რომ „ისე“ არას მოახსენებდა და სულ გული მოუკვდა. ან კი რაღა ეთქმოდა? უსიტყვოთ დაავლო ხელი ნავაჭრს და გაწითლებულმა სახლს მიაშურა.

— რა ვქნა, სად წავიდე, ვის მივმართო? ან კი სირცხვილი არ არის ჯანსაღმა კაცმა მათხოვრობა დაიწყო? ეკითხებოდა გენო თავის თავს და თან სიმწარის ღიმილი სახეზე არა შორდებოდა.

— მაგრამ ან კი ვინ დაიჯერებს, რომ ასე გაჭირვებული ვარ. როგორ დააჯერებ ჩვენ ინტილიგენტებს, რომ სხვის ხელ ფეხებათ ვართ გადაქცეული და ძალა უნებურათ, მარტო ლუკმა პურისათვის, ყველა დამცირება უნდა ვიკისროთ. თომა... არტემ... მიკირტუმ... ალია და მუსია ყველა, ყველა შენი დამამცირებელია! რათა, რისთვის? ხა, ხა, ხა! გადიხარხარა გენომ, და თითონვე უპასუხა თავის თავს.

— ამიტომ რომ.., საზიზღარი ლითონი გაბატონდა და ცხოვრებაში იდეალისტობას ბაზარი აღარა აქვს.., ხომ აგრეა, ჩემო ძვირფასო მეუღლე— კარის კარაპანიდანვე შესძახა ცოლს, და ნავაჭრი ტახტზე გადაისროლა.

— რა მოგივიდა, კაცო?! გაკვირვებით გამოსძახა ცოლმა?

— ის მომივიდა, რომ ყველანი მატყუარა, მხდალი, მშიშარა, ეგოისტები და გაუტანლები ვართ. უსიცოცხლოთ, მლიქვნელობაში ვატარებთ წუთისოფელს და ერთხელაც არ ვეკითხებით ჩვენ თავს, რათ იტანჯება ცხრა მეათედი კაცობრიობისა, როდესაც ბუნება და მისი სიმდიდრე ყველასათვის არის შექმნილი. რათ ვიზრდებით მაიმუნებათ, როდესაც ადამიანები უნდა ვიყვეთ.

— ოჰო, ჩემო კეთილო, ძალიან დაამლაშე? ღიმილით შენიშნა ქეთომ.

— დავამლაშე? ნუ თუ?.. შუბლიდან ოფლის მოწმენდით გამოელაპარაკა გენო და მცირეოდენ სიჩუმეს შემდეგ დაუმატა...

— შეიძლება დავამლაშე კიდეც, მაგრამ უმრავლესობა რომ ანგარიშ მიუცემლათ ალონღიალებს თავის სიცოცხლეს, ამაში კი ეჭვი არა მაქვს.

— ოღონდაც! ჩემო გენო. მაგრამ..

— მაგრამ... დრო არის, დრო უმრავლესობა ჩაუკვირდეს თავის მდგომარეობას და კარგათ... კარკათ დაფიქრდეს... სიტყვა ჩამოართვა გენომ თავის ცოლს და სამარესავით დადუმდა.

გაჭირვებას ორ გვარი ზე-გავლენა აქვს ადამიანზე. ზოგს სულ მთლათ ანადგურებს, მხეცათ ხდის, ზოგს კი გულის ხმაში აგდებს და აფიქრებს.. გენოზე მეორე გვარი გავლენა იქონია და ერთი ორი

თვის უუმწვერვალესმა გაჭირვებამ, ხოლო წინა დროის სილარიბემ სულ მთლათ ააფორიაქა გენოს გულისთქმა და ათას გვარი საჭირ-ბოროტო საკითხი დაებადა. საკეთილ-აზროვნოთ მოიმართა მისი გონება და გულიც იმდენათ შეწევდა, რომ რაიმე გადაწყვეტილ მიმართულებას დადგომოდა. მაგრამ ჯერ კი ვერ დალაგებულიყო და ძველ რწმენა-შეხედულებას, ბავშობითვე შეთვისებულ ჩვეულებას — სასტიკი ბრძოლა გაემართათ მის არსებაში....

— მოდი, რაღა, მამილო, პური არა გშია?

მოუთმენლათ ახმაურდა გიგლა, როდესაც ქეთომ სუფრა გაშალა და შვილებს ძეხვის ნაჭრები დაურიგა.

— მოვალ, შვილო, მოვალ. უპასუხა გენომ და ქეთოს გვერდით მოუჯდა... ერთხანს ხმაამოუღებლივ ჭამდენ ცოლ-ქმარი ნანისიავებ საჭმელს. ცეცხლათაც ეჩვენებოდათ ორივეს თითოეული ლუკმა, მაგრამ ერთმანეთის გასამხნევებლათ ძალა, უნებურათ, ილიმებოდენ, თუმცა კი გენოს თითოეული ლუკმის ჩაღებაზე ხან თომა მეფურნე მოაგონდებოდა ხოლმე და ხან არტემა მეწვრილმანე. მარტო ბავშები ცმუკავდენ და უდარდელათ ილუკმებოდენ.

ღმერთმა შეარგოს ალალ კაცს საჭმელიცა და სასმელიც, თუნდა იგი უკმეხთაგან დაყვედრებულიც იყოს, მაგრამ ურიგო არ იქმნება ახლა კი ცოტა დაახლოვებით გავიცნოთ გენოს და ქეთოს ვინაობა — სადაურობა.

(შემდეგი იქნება).

სოფ. აკეთის წიგნთსაცავის შესახებ.

აკეთის წიგნთსაცავის ბატონ-პატრონი, რაღაც მოსაზრებით მე მაბრალებს წიგნთ საცავის უკან დახევას და თვითონ კი წყლიდან მშრალათ გამოდის (იხ. „ივერია" № 93). ის ამბობს ვითომ მე საზოგადო კრებისმიერ მონდობილი მქონოდეს წიგნთსაცავის მოვლა-პატრონობა. ასეთი გარდაწყვეტილება საზოგადო კრებისა არაოდეს არ ყოფილა. ან როგორ იქნებოდა გარდაწყვეტილება, როცა საზოგადო კრება არ მომხდარა. ეს კი მართალია, რომ მე, როგორც მასწავლებელი, ვალდებულათ ვთვლიდი ჩემ თავს ბიბლიოთეკას დავხმარებოდი და მართლაც შეძლებისადაგვარათ ვშრომობდი წიგნთ-საცავში, რამდენათაც თავისუფალი დრო ნებას მაძლევდა. მაშინდელი ანგარიშებიც გამოცხადებულია ქართულ გაზეთებში, თუ რამდენი წიგნი გაჰქონდათ წიგნთსაცავიდან იმ დროებში, როცა წიგნთსაცავი სკოლის ეზოში იყო.

მერე კი, როცა ბიბლიოთეკა ბ. გამგემ თავისი განკარგულებით კანცელიარიასა და დუქნებ შუა ჩაასკუპა, მე აღარ შემეძლო ძველებურათ ყური მეგდო წიგნთ-საცავისათვის, განსაკუთრებით ზამთრობით, რადგან სკოლას დაშორა იგი და შიგაც ცეცხლს არ ანთებდა, რის გამო წიგნებსაც ობი მოეკიდა. ბ. გამგე ბრძანებს: წიგნთსაცავამდის აღმართი იყო და მისვლა მიჭირდაო, ეს ვერაფერი საბუთია თავის გასამართლებლათ. ბ. გამგეს სასახლიდან დუქნებამდის გაცილებით მეტი აღმართი და უსწორო გზაა, ვინემ სკოლამდის და თუ კი დუქნებში სიარული ეადვილება ბ. გამგეს, რისთვის, სკოლამდის უძნელდებოდა მისვლა. თუმცა ძველებურათ ვერ ვეხმარებოდი წიგნთსაცავს, მას შემდეგ, რაც ის დუქნებს და კანცელარიას დაუმეგობრეს, მაგრამ გულშემატკივრობა მისი ყოველთვის მქონდა. მაგალითათ: წიგნთსაცავის მიზეზით უფრო იყო, რომ აკეთიდან ლანჩხუთამდის ფოსტის წამღებ-წამომღები კაცი დავიქირავე, რომელსაც წიგნთსაცავისათვის კვირაში ორჯერ ჟურნალ-გაზეთები დაჰქონდა. წარმოდგენებსაც ვმართავდით წიგნთსაცავის სასარგებლოთ და სხ. რაც შეეხება წიგნების დაკარგვას, მართლაც დაიკარგა რამდენიმე წიგნი, მაგრამ ათი იმდენი დაიკარგებოდა, ჩემ მოწაფეებს რომ არ ჰქონოდათ ჩემგან დავალებული წიგნების შეგროვება.

მასწავლებელი ა. გეგეშკორი.

წერილი რედაქციის მიმართ.

თქვენ პატივცემულ ჟურნალის მე-20 ც. ნომერში დასტამბულია დ. მაღლაკიდან კორესპონდენცია, რომელშიაც უცნობი ავტორი მეძი ნატამშვილი ცუდის მხრივ ახასიათებს ადგილობრივ ინტელიგენტთა და არა ინტელიგენტთა გუნდს, აწერს მას სრულ გულგრილობას ახლათ დაარსებულ წიგნთ საცავ სამკითხველოსადმი და სხვ. ზოგიერთმა მოხელეებმა, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, პირდაპირ ჩემზე გამოილაშქრეს, კორესპონდენციის ავტორათ მე მთვლიან და ვინ მოთვლის, რამდენ უწმაწურ ხმებს ავრცელებენ ჩემ შესახებ მდაბიო ხალხში. სიმართლის აღსადგენათ, გთხოვთ ქ-ნო რედაქტორო გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალის ერთ ერთ მახლობელ ნომერში, რომ მოხსენებული კორესპონდენციის ავტორი ბაღდადის სკოლის მასწავლებელი ვ. ბურჯანაძე არ არის და თუ შეიძლება ავტორის გვარიც გამოაშკარავეთ, რომ დარწმუნდეს ადგილობრივ ჩინოვნიკთა მეთაური ბ. სალაძე რომ მე ამ საქმეში სრულიად მართალი ვარ და იგი ტყვილა უსაბუთოთ მლანძღავს და მაგინებს. ბ. სალაძეს დავიწყებია რუსული ანდაზა „Семь разъ отмѣрь, одинъ разъ отрѣжь"-ო, ჯერ გაიგოს ვინაობა საქმისა და მერე ილანძღოს.

ბაღდადის მასწავლებელი: ვარლამ ბურჯანაძე. 1)

„კვალის" ფოსტა.

სოფ. კახი. საფილაქსერო დასის უფროს მუშას სოლომონ იოსავას: ქვემო — ბიის სკოლას ეგზავნება ჯეჯილი ხობის აფთიაქაში. მასწავლებელმა ჯერ აფთიაქარს და მერე ფოსტას უნდა მიმართოს, თუ ფოსტა არ დააკმაყოფილებს — აცნობოს რედაქციას და რედ. მოთხოვს ფოსტას.

— ბ. არ. ხეჩანოვს. თქვენი ლექსი „ხმა საპყრობილოდან" არ დაიბეჭდება.

1) ამით ვამოწმებთ, რომ აქ აღნიშნული კორესპონდენცია ბ. ვ. ბურჯანაძეს არ ეკუთვნის. ხოლო ავტორის ვინაობას არ ვაცხადებთ, რადგან ეს წესი არ არის. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Іюня 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца — სტამბა ტ. მ. როტინიანცისა Гол. пр. д. № 41.